

შპს „მეგაკო თრეიდი“

ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2019 წელი

<u>სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....</u>	<u>3</u>
<u>სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგება.....</u>	<u>4</u>
<u>სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....</u>	<u>5</u>
<u>სპეციალური დანიშნულების საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....</u>	<u>6</u>
<u>ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....</u>	<u>7</u>
1. კომპანია და მისი საქმიანობა.....	7
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....	7
3. ძირითადი საშუალებები.....	10
4. არამატერიალური აქტივები.....	11
5. გრძელვადიანი სავაჭრო დებიტორები.....	11
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.....	11
7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.....	12
8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	12
9. სესხები.....	12
10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.....	13
11. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	13
12. გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯი.....	13
13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	14
14. ფინანსური ხარჯი (ნეტო).....	14
15. სხვა მოგება/(ზარალი) (ნეტო).....	14
16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	14
17. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები.....	16

შპს მეგაკო თრეიდი
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	ა/გ შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	6	10	45
არამატერიალური აქტივები	4	6	5	6
გრძელვადიანი სავაჭრო დებიტორები	5	2	35	147
სულ გრძელვადიანი აქტივები		14	50	198
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	3,479	3,139	2,416
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	4,384	5,094	3,879
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	229	33	222
სულ მოკლევადიანი აქტივები		8,092	8,266	6,517
სულ აქტივები		8,106	8,316	6,715
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1,480	1,480	1,480
დაგროვილი ზარალი		(15,559)	(12,685)	(9,892)
სულ საკუთარი კაპიტალი		(14,079)	(11,205)	(8,412)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	9	15,262	14,242	10,624
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		15,262	14,242	10,624
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	9	3,682	2,017	1,214
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	3,160	3,117	3,249
ანარიცხები		81	145	40
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,923	5,279	4,503
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		8,106	8,316	6,715

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2020 წლის 30 დეკემბერს.

კახა გოგავა, დირექტორი



შპს მეგაკო თრეიდი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

		31.12.2019 ა/გ შენიშვნა დასრულებული წლისათვის	31.12.2018 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	16,512	16,963
გაყიდვების თვითღირებულება		(13,531)	(13,906)
საერთო მოგება		2,981	3,057
გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯი	12	(3,166)	(2,982)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	13	(465)	(798)
ფინანსური ხარჯი (ნეტო)	14	(2,137)	(2,040)
სხვა მოგება/(ზარალი) (ნეტო)	15	(87)	(30)
მიმდინარე წლის ზარალი		(2,874)	(2,793)
სულ მიმდინარე წლის სრული ზარალი		(2,874)	(2,793)

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2020 წლის 30 დეკემბერს.

კახა გოგავა, დირექტორი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	19,433	19,087
მომწოდებლებისთვის და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(19,760)	(21,650)
საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული ფულადი სახსრები	(327)	(2,563)
გადახდილი პროცენტი	(481)	(1,214)
საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(808)	(3,777)
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-	-
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	1,020	5,279
სესხის ძირის დაფარვა	-	(1,661)
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	1,020	3,618
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	212	(159)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	33	222
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(16)	(30)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	229	33

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2020 წლის 30 დეკემბერს.

კახა გოგავა, დირექტორი



შპს მეგაკო თრეიდი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სპეციალური დანიშნულების საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	1,480	(9,892)	(8,412)
2018 წლის სრული ზარალი	-	(2,793)	(2,793)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	1,480	(12,685)	(11,205)
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	1,480	(12,685)	(11,205)
2019 წლის სრული ზარალი	-	(2,874)	(2,874)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	1,480	(15,559)	(14,079)

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2020 წლის 30 დეკემბერს.

კახა გოგავა, დირექტორი



ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „მეგაკო თრეიდი“ (კომპანია) დაარსდა 2012 წლის 30 ივლისს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო კოდი: 404953528). შპს „მეგაკო თრეიდი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკვები პროდუქტების დისტრიბუცია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ., 3^ბ, ბ. 50. კომპანიის 100%-ის მფლობელია შპს „მეგაკო“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204875108).

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გასაჯაროებისა და ვებ გვერდზე - reportal.ge - ატვირთვის მიზნით. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ელემენტების: აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის მუხლების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებულ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (შემდგომში მსს ფასს) და მათი მომზადების კონცეპტუალურ საფუძვლებთან, თუ ქვემოთ ჩამოყალიბებულ ცალკეული ფინანსური ელემენტების სააღრიცხვო პოლიტიკაში არ იქნა სპეციფიკურად სხვაგვარად მინიშნებული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია ფასს-ებით განმარტებული დარიცხვისა და ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპები.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში. ცალკეულ ფინანსურ ელემენტთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.2 შემოსავლის აღიარება.

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა საქონლის საკუთრების უფლების გადაცემა და გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-სა და ფასდათმობის გარეშე.

2.3 წარდგენის ვალუტა.

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (“ქართული ლარი”).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორის ოპერაციების შედეგად აშშ დოლართან მიმართებაში იყო შემდეგი:

	გაცვლითი კურსი
2018 წლის 1 იანვარს	2.5922
2018 წლის 31 დეკემბერს	2.6766
2019 წლის 31 დეკემბერს	2.8677

2.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთის ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე ჯგუფის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის, შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები შემდეგნაირად ნაწილდება:

სასარგებლო მომსახურების ვადა	
დახლ-დანადგარები	2;
სატრანსპორტო საშუალებები	3- 5;
მოწყობილობები	1; 3; 4; 5;
საოფისე ტექნიკა და ავეჯი	1- 5;

2.5 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით.

2.6 არამონეტარული აქტივების გაუფასურება

იმ არამონეტარულ აქტივებს, რომელთაც არ აქვთ განსაზღვრული ცხოვრების ხანგრძლივობა და ასევე, იმ აქტივებს, რომლებიც არიან მზად გამოყენებისათვის, არ ერიცხებათ ცვეთა ან ამორტიზაცია, ისინი ექვემდებარებიან გაუფასურების ყოველიურ ტესტირებას. ეს აქტივები, რომლებიც ექვემდებარებიან ცვეთასა და ამორტიზაციას, ასევე, ექვემდებარებიან გაუფასურებაზე ტესტირებას მაშინ, როდესაც გარკვეული მოვლენა ან ნებისმიერი პირობის ცვლილება მიუნიშნებს, რომ შესაძლებელია მისი საბალანსო ღირებულება ვერ იქნას ამოღებული. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ სხვაობის ოდენობით, რაც არსებობს შეფასებულ ამოღებად თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის. ამოღებადი თანხა წარმოადგენს უდიდეს თანხას გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ტესტირების მიზნით აქტივები ჯგუფდება უმცირესი ჯგუფის დონეზე, რომლის დონეზეც იდენტიფიცირდება განცალკევებული ფულადი ნაკადები. ყოველ საანგარიშო პერიოდზე გაუფასურებული არაფინანსური აქტივები, გარდა გუდვილისა, მიმოიხილება გაუფასურების შებრუნების გაუქმების მიზნით.

2.7 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს, მათ ამჟამინდელ ადგლსა და მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

მომსახურების გაწევითა და საქონლის მიწოდების შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ მათი ამოღებადობა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებად, შესაბამისად.

2.9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

მომსახურების ან საქონლის შესყიდვის შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა დავალიანებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ მათი გადახდა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად, შესაბამისად.

2.10 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, სულ მცირე, თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.11 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, განახორციელოს საპენსიო ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.12 ურთიერთგადაფარვა.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდება ნეტო სიდიდით, ან მოხდება აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

შპს “მეგაკო თრედი“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ძირითადი საშუალებები

	მოწყობილო- ბები	დახლ- დანადგარები	საოფისე ტექნიკა და ავეჯი	სატრანსპორ- ტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება					
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	53	56	48	383	540
შემენა	10	1	-	-	11
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	63	57	48	383	551
შემენა	13	-	-	1	14
გასვლა	-	-	-	(7)	(7)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	76	57	48	377	558
ცვეთა:					
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	40	46	43	366	495
პერიოდის ცვეთა	21	6	2	17	46
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	61	52	45	383	541
პერიოდის ცვეთა	13	3	2	-	18
გასვლის ცვეთა	-	-	-	(7)	(7)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	74	55	47	376	552
წმინდა საბალანსო ღირებულება:					
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	13	10	5	17	45
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2	5	3	-	10
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2	2	1	1	6

შპს “მეგაკო თრედი“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები	
ისტორიული ღირებულება	
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	10
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10
დამატება	3
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13
ცვეთა:	
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4
პერიოდის ცვეთა	1
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5
პერიოდის ცვეთა	2
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	6
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6

5. გრძელვადიანი სავაჭრო დებიტორები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
გრძელვადიანი სავაჭრო დებიტორული დავალიანება	359	247	327
საექვო ვალების რეზერვი	(357)	(212)	(180)
სულ გრძელვადიანი სავაჭრო დებიტორული დავალიანება	2	35	147

საექვო ვალების რეზერვის მოძრაობა:

	2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ბალანსი 1 იანვრისათვის	212	180
ცვლილება გაანგარიშებაში მიმდინარე პერიოდისთვის	145	32
31 დეკემბრის მდგომარეობით	357	212

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
გასაყიდი საქონელი	3,458	3,103	2,165
სხვა მარაგები	21	36	23
საქონელი გზაში	-	-	228
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	3,479	3,139	2,416

შპს “მეგაკო თრედი“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	5,700	5,613	4,215
საექვო ვალების რეზერვი	(1,482)	(1,489)	(1,322)
გადახდილი ავანსები	164	965	1,020
გადახდილი ავანსების რეზერვი	(54)	(39)	(49)
სხვა მოთხოვნები	56	44	15
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	4,384	5,094	3,879

საექვო ვალების რეზერვის მოძრაობა (დებიტორები):

	2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ბალანსი 1 იანვრისათვის	1,489	1,322
ცვლილება გაანგარიშებაში მიმდინარე პერიოდისთვის	(7)	167
31 დეკემბრის მდგომარეობით	1,482	1,489

საექვო ვალების რეზერვის მოძრაობა (ავანსები)

	2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ბალანსი 1 იანვრისათვის	39	49
ცვლილება გაანგარიშებაში მიმდინარე პერიოდისთვის	15	(10)
31 დეკემბრის მდგომარეობით	54	39

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	229	33	222
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	229	33	222

9. სესხები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
გრძელვადიანი სესხები	15,262	14,242	10,624
გადასახდელი პროცენტები	3,682	2,017	1,214
სულ სესხები	18,944	16,259	11,838

შპს “მეგაკო თრეიდი”-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ვალდებულების დაფარვის გრაფიკი:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
1 წლის ვადაში	3,682	2,017	10,624
1-დან 3 წლამდე ვადაში	15,262	14,242	1,214
სულ	18,944	16,259	11,838

10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	2,688	2,761	3,132
გადასახდელი ხელფასები	23	23	27
გადასახდელი გადასახადები	333	181	11
მიღებული ავანსები	42	41	37
სხვა ვალდებულებები	74	111	42
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3,160	3,117	3,249

11. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
შემოსავალი საქონლის დისტრიბუციიდან	16,455	16,855
შემოსავალი მარკეტინგული/სარეკლამო საქმიანობიდან	16	58
სხვა შემოსავალი	41	50
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	16,512	16,963

12. გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯი

	2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
შრომის ანაზღაურება	1,929	1,913
საწვავისა და ტრანსპორტირების ხარჯი	593	537
მარკეტინგის ხარჯი	540	415
იჯარის ხარჯი	79	65
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	15	31
სხვა ხარჯები	10	21
სულ გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები	3,166	2,982

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
იჯარის ხარჯი	260	260
შრომის ანაზღაურება	49	48
საგადასახადო ხარჯი	49	117
კომუნალური ხარჯები	38	37
საბანკო ხარჯები	12	14
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	5	16
საექვო ვალების ხარჯი	4	301
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	48	5
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	465	798

14. ფინანსური ხარჯი (ნეტო)

	2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
საპროცენტო ხარჯი	(2,146)	(2,017)
გაცემული სესხების გაუფასურების შედეგი	(29)	(28)
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	(52)	(19)
საპროცენტო შემოსავალი	29	28
დისკონტირების შედეგი	61	(4)
სულ ნეტო ფინანსური ხარჯი	(2,137)	(2,040)

15. სხვა მოგება/(ზარალი) (ნეტო)

	2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
სხვა მოგება/(ზარალი)	(87)	(30)
სულ სხვა მოგება/(ზარალი) (ნეტო)	(87)	(30)

16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

„დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ - მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა, შეიძლება, დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები, შეიძლება, არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

შპს “მეგაკო თრედი“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2019 წლის 31 დეკემბრისა და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

	დედა კომპანია	მენეჯმენტი
დებიტორული დავალიანება	-	10
კრედიტორული დავალიანება	269	-
მიღებული სესხი	15,261	-
გადასახდელი პროცენტი	3,682	-
რეალიზაცია	42	1
შესყიდვები	285	-
საპროცენტო ხარჯი	3,682	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (ხარჯი)	-	162

2018 წლის 31 დეკემბრისა და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

	დედა კომპანია	მენეჯმენტი
დებიტორული დავალიანება	-	28
კრედიტორული დავალიანება	357	-
მიღებული სესხი	14,242	-
გადასახდელი პროცენტი	2,017	-
რეალიზაცია	50	4
შესყიდვები	284	-
საპროცენტო ხარჯი	2,017	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (ხარჯი)	-	157
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (გადასახდელი)	-	32

2018 წლის 1 იანვრისთვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ნაშთები:

	დედა კომპანია	მენეჯმენტი
დებიტორული დავალიანება	-	25
კრედიტორული დავალიანება	225	-
მიღებული სესხი	6,408	-
გადასახდელი პროცენტი	835	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (გადასახდელი)	-	20

17. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი მოვლენებისა, 2019 წლის 31 დეკემბრის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რომელიც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში:

- **COVID-19-ის პანდემიის გავლენა.** 2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. პირველი შემთხვევა საქართველოში, ოფიციალურად, 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომების ნაწილის სახით, საქართველოს მთავრობამ სხვადასხვა დროს დააწესა სხვადასხვა სახის შეზღუდვა. კომპანიის მიმდინარე ოპერირების, საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე დაყრდნობით, კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის ეკონომიკურ გარემოზე პანდემიის ზემოქმედების გამო მის მოკლევადიან ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერირების შედეგებზე მნიშვნელოვან ნეგატიურ ეფექტს, თუმცა არ გამორიცხავს პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების პერიოდის გაგრძელების, შეზღუდვების მასშტაბის გაფართოების შედეგად მნიშვნელოვან უარყოფით შედეგებს საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისათვის. კომპანია ოპერატიულად აანალიზებს ამ შესაძლო ნეგატიურ სცენარებს და მზადაა საოპერაციო გეგმების მოდიფიკაციისთვის.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება. ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 დეკემბერს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.